

## სკოპინგის დასკვნა N26

### საერთო მონაცემები:

**საქმიანობის დასახელება:** ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. N 12;

**საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი:** შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"; ალ. ყაზბეგის გამზ. N21;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 11.03.2022;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** შპს „გრინტექი“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება) სკოპინგის ანგარიში.

სამინისტროს მიერ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 15 აგვისტოს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-677). ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2017 წლის 10 მაისს ასევე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N32, ხოლო 2018 წლის 9 აგვისტოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-654). №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ძველი ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი.

ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე გაცემულია სამი სკრინინგის გადაწყვეტილება. 2019 წლის სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-27) ითვალისწინებდა N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული კლინკერის წარმოების ძველი ხაზის, კერძოდ N1 და N2 ლუმელების სარეზერვოდ შენარჩუნებას, ხოლო N3 ლუმელის კონსერვაციას. 2020 წელს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-352 ) ითვალისწინებდა საწარმოს წარმადობის გაზრდას (**კლინკერისათვის - 1 191 300 ტონა/წელ და ცემენტისათვის 900 000 ტონა/წელ**), სამუშაო დღეების რაოდენობის (კლინკერისათვის - 330 დღე, ხოლო ცემენტისათვის 360 დღე) გაზრდის ხარჯზე და ძველი ტექნოლოგიური ხაზის (N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) კლინკერის N3 ლუმელის დემონტაჟს. 2021 წელს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-522) ითვალისწინებდა კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის N1 და N2 მზრუნავი ლუმელის (რომელიც შენარჩუნებული იყო სარეზერვოდ) დემონტაჟს. აღნიშნული სკრინინგის

გადაწყვეტილება ითვალისწინებდა მხოლოდ ძველი ტექნოლოგიური ხაზის ღუმელების დემონტაჟს, თუმცა არ იყო განსაზღვრული ძველი ტექნოლოგიური ხაზის სრული დემონტაჟი.

№32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოება. საწარმოში განთავსებული ცემენტისა და კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზები. არსებული ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. N2-ში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 67.01.51.048). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 300 მ-ს (მშრალი ღუმელის მთავარი საკვამურიდან). ამასთან, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ერთ-ერთი წყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით. მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს უახლოეს მოსახლემდე, მათ შორის ტექნოლოგიური უბნებიდან/გაფრქვევის წყაროებიდან, მანძილი და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში შესრულდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიზანია: N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული - ძველი ტექნოლოგიური (სველი კლინკერის წარმოების) ხაზების სრული გაუქმება/დემონტაჟი; ალტერნატიული საწვავის სახით, ნარჩენი საბურავების და ნარჩენი ზეთების გამოყენება; კლინკერისა და ცემენტის წარმოებებისთვის წარმადობის გაზრდა.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ალტერნატივების, მათ შორის უმოქმედობისა და ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიული საწვავის გამოყენება) შედეგად მიღებული დადებითი ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა. დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ ჩაითვალა გონივრულად.

საწარმოში არსებული ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად კლინკერის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზზე, საწვავად, ძირითადად ქვანახშირი გამოიყენება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო გეგმავს ძირითად საწვავთან (ქვანახშირი) ერთად ალტერნატიული საწვავის გამოყენებას, დაახლოებით 5-10%-ის ფარგლებში. საბურავების მიწოდება მოხდება ღუმელის სამტვერე კამერაში, ხოლო ნარჩენი ზეთების მიწოდება მოხდება ღუმელის ბოლოდან, სპეციალური ელექტორული სანთურის მეშვეობით. ალტერნატიულ საწვავად დაგეგმილია ნარჩენი საბურავებისა და ზეთების გამოყენება. საწყის ეტაპზე კასპის ცემენტის საწარმოში დაგეგმილია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ობიექტებზე (კასპის, ფოთის, რუსთავის ორი ცემენტის საწარმო, ოცამდე ბეტონის საწარმო, კარიერები) წარმოქმნილი ნარჩენების (საბურავების და ნარჩენი ზეთების) მიღება და გამოყენება ალტერნატიულ საწვავად, ხოლო შემდგომ ეტაპზე საწარმო გეგმავს აღნიშნული ნარჩენების მიღებას სხვა მომწოდებლებისგან.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში ყოველდღიურად საჭირო იქნება 35-40 ტონამდე ნარჩენი საბურავის მიწოდება. წელიწადში გათვალისწინებულია 13,400 ტ

საბურავის გამოყენება. სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ კომპანია გეგმავს ნარჩენი საბურავების შეგროვების სისტემის დანერგვას. კერძოდ, პირველ ეტაპზე დაგეგმილია ორი - დასავლეთ (იმერეთი, სამეგრელო და აჭარის ა/რ) და აღმოსავლეთ (შიდა ქართლი, თბილისი და რუსთავი) საქართველოს შემგროვებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. წლის განმავლობაში დაგეგმილია საშუალოდ 10 000 ტ ნარჩენი საბურავის შეგროვება. აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან (ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება) და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მგვ რეესტრში რეგისტრაციის პირობები რეგულირდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ნარჩენი საბურავების დასაწყობებისათვის გათვალისწინებულია 2000 მ<sup>2</sup> ფართობზე მოეწყოს ღია საწყობი, რკინაბეტონის საფარით, რომელიც მთელ პერიმეტრზე 1,5 მ სიმაღლის კედლით იქნება შემოსაზღვრული. საწყობის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები, რომლებიც შეუერთდება ნავთობდამჭერს. საწყობიდან საბურავები გორგოლაჭიანი ტრანსპორტიორებით და კონვეიერებით მიეწოდება ორმაგ სარქველს, საიდანაც მოხვდება ლუმელში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საბურავები ლუმელს მიეწოდება მთლიანი ან დანაწევრებული სახით.

კლინკერის გამოწვის ლუმელში ნარჩენი ზეთების მიწოდებისთვის გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურაა: ნარჩენი ზეთების მიღების/დაცლის სატუმბო სადგური (წარმადობა 40 მ<sup>3</sup>/სთ), ნარჩენი ზეთების სასაწყობო 50 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი და ნარჩენი ზეთების მიწოდების სატუმბო სადგური (წარმადობა 1000 კგ/სთ), ნარჩენი ზეთების ელექტრო გამახურებელი, ავტომატური სარქველების სადგური, ნარჩენი ზეთების ინჟექტორული სანთურა (რომელიც ნარჩენ ზეთებს შეაფრქვევს ლუმელის ცხელ ბოლოში). ნარჩენი ზეთების სასაწყობო რეზერვუარი იქნება შემოზვინული. გათვალისწინებულია 6,250 ტ/წელ ნამუშევარი ზეთების გამოყენება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საწარმოს წარმადობის გაზრდა ითვალისწინებს - კლინკერის წარმოების წარმადობის გაზრდას წელიწადში 1270000 ტ-მდე (მაქს. 4000 ტ/დღ), ხოლო ცემენტის წარმადობის 970 000 ტონამდე, წელიწადში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კლინკერის წარმადობის გაზრდა გათვალისწინებულია ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების რეზერვების ხარჯზე, მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ცემენტის წარმოების წარმადობის გაზრდა განპირობებულია ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და მიიღწევა დანამატების გამოყენების ხარჯზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს - 365 დღეს. მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს/დეტალურად იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წარმადობების შესახებ ინფორმაცია (წლიური, თვიური), სამუშაო დღეებისა და საათების გათვალისწინების/დაზუსტების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო წყალმომარაგება ხორციელდება ობიექტზე არსებული ტექნიკური წყალმომარაგების სისტემიდან (მდინარე მტკვრიდან ამოღებული წყლით). ტექნიკური წყალმომარაგების სისტემა შედგება 1 ცალი 1400 მ<sup>3</sup>-იანი,

2 ცალი 10000 მ<sup>3</sup>-იანი, 2 ცალი 500 მ<sup>3</sup>-იანი მიწისზედა, ასევე 2 ცალი 250 მ<sup>3</sup> და 1 ცალი 800 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარებისგან. კომპანიას საწარმოს ტერიტორიაზე გააჩნია ასევე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების 4 ლიცენზია (რისი მთავარი მიზეზიც მდინარე მტკვრიდან წყლის მოხმარების შემცირებაა). საწარმოში, წყლის გამოყენება ხორციელდება სხვადასხვა აგრეგატების გასაცეცხლად, არსებული შხეფსაცივარის წყლის დანაკარგების შესავსებად. საწარმოო მიზნებისთვის ტექნოლოგიურ პროცესში დანერგილია წყლის გამოყენების ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა და შედეგად არ წარმოიქმნება საწარმოო ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ქ. კასპის ჩამდინარე წყლების კოლექტორზე. სანიაღვრე ჩამდინარე წყლები იწმინდება ორსექციან ჰორიზონტალურ სალექარში. ნარჩენი საბურავების ღია სასაწყობე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, სალექარში მოხვედრამდე გაიწმინდება ნავთობდამჭერში (სეპარატორში). გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია მდ. ლეხურაში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან, წარმოქმნილი ნარჩენების არასწორ მართვასთან.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ემისიები მოსალოდნელია, როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული წყაროებიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ატმოსფეროში გაიფრქვევა 16 დასახელების მავნე ნივთიერება. გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 92 სტაციონარული წყარო. სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მოსალოდნელი ემისიების დეტალური რაოდენობრივი, ხარისხობრივი შეფასება, ამასთან ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების, მათ შორის აირგამწმენდი სისტემის შესახებ. ასევე გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეული მტვრის მართვის საკითხების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად კასპის ცემენტის საწარმოში მოქმედებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, მოქმედი (2013 წლის 31 დეკემბრის №413) დადგენილების შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ, რომელიც საკმაოდ ზოგადი და სათანადოდ არ ასახავს მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობას. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების დეტალური შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები. ამასთან, მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია ობიექტიდან მოსალოდნელი ხმაურის დონეების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ დადგენილებასთან („საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენები. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არაა სათანადო ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობისა და მართვის ღონისძიებების შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონალური წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 1 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“, სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანია- შპს „გრინტექის“, კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოების წევრები, მათ შორის ააიპ მწვანე ალტერნატივა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი დაინტერესდა ალტერნატიული საწვავის გამოყენების პრაქტიკის მსგავსი ტიპის საწარმოში დანერგვის შესახებ - რაზეც შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა მიაწოდა ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც ალტერნატიულ საწვავს იყენებდნენ. საჯარო განხილვაზე, შენიშვნები ასევე დაფიქსირებული იქნა ააიპ „მწვანე ალტერნატივის“ მიერ, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გავრცელებას, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის გავრცელებას, საწარმოსა და მოსახლეობას შორის დაშორების მანძილს. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მომატება მოსალოდნელი არ არის. დამატებით განაცხადა, რომ არსებული ხმაურის პრობლემის აღმოსაფხვრელად ზომების მიღება დაწყებულია, მათ შორის საწარმო შეიფუთა ხმაურ-გამტარი მასალით. საჯარო განხილვის არასათანადოდ გავრცელებასთან დაკავშირებით სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, მათ შორის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალის მიწოდებას ნებისმიერი მსურველისთვის. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საფუძვლიანი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება სკოპინგის დასკვნის მომზადების ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინა ააიპ „მწვანე ალტერნატივამ“.

წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: სკოპინგის ანგარიშში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას; ძველი წარმოების ხაზების გაუქმება/დემონტაჟისა და წარმადობის გაზრდის გეგმას; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას; ხმაურის გავრცელებას; სუნის გავრცელებას; ნიადაგის დაბინძურებას; ტრანსპორტირებით მოსალოდნელ ზემოქმედებას; სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდას; უახლოეს სახლამდე დაშორების მანძილს. პროექტთან დაკავშირებით არსებული რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები სამინისტროს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში (გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში).

ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ წერილში დაფიქსირებული შენიშვნები ეხებოდა ასევე საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გავრცელებას და საჯარო განხილვის ხელახლა ჩატარებას. მოცემულ შენიშვნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ საჯარო განხილვის ჩანიშვნა, მათ შორის ინფორმაციის გავრცელება, უზრუნველყო კანონმდებლობის დადგენილი წესით. განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. განცხადებები განთავსდა ასევე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, აგრეთვე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ სამინისტრომ, კანონმდებლობის დადგენილი წესით, ყველანაირი ბერკეტის გამოყენებით, უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ დაფიქსირებული შენიშვნა საფუძველს მოკლებულია.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

### **გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი**

1. **გზმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

**3.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;**

**4. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საწარმოში არსებული (მიმდინარე), შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ით გათვალისწინებული, საქმიანობის დეტალური აღწერა;
- პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დეტალური აღწერა;
- საწარმოს ტერიტორიის აღწერა, მათ შორის მოცემული უნდა იყოს: საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ი და GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
- ექსპლუატაციის ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოში არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საპროექტო ტერიტორიიდან, მათ შორის თითოეული ტექნოლოგიური უბნიდან და უშუალოდ გაფრქვევის წყარო(ებ)იდან, დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი);
- დაზუსტებული მანძილი უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის სამრეწველო, მათ შორის საპროექტო საქმიანობის ანალოგიური, ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოო ტერიტორიის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, სათანადოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი უმოქმედობის ალტერნატივის ანალიზი, რომელიც განხილული უნდა იქნეს, არა მხოლოდ საწარმოში ალტერნატიული საწვავის გამოყენებისთვის, არამედ საწარმოს წარმადობის გაზრდისთვის. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი ცვლილების განუხორციელებლობის (უმოქმედობის) შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების ანალიზი;
- საწარმოში არსებული ტექნოლოგიური უბნების/ტექნოლოგიური ხაზების, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი საშუალებების და მოწყობილობების (ლუმელები, წისქვილი და სხვ) დეტალური დახასიათება (თითოეული დანადგარის სიმძლავრის/წარმადობის მითითებით);
- საწარმოს არსებული ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე);

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია არსებული და დაგეგმილი წარმადობის/საწარმოო სიმძლავრის (საათური, დღიური, წლიური) და სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია ცემენტისა და კლინკერის ტექნოლოგიური ხაზების არსებული და საპროექტო წარმადობების შედარებითი ანალიზი, სამუშაო რეჟიმის მითითებით;
- მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განხილული წარმადობის გაზრდის (როგორც ცემენტისთვის, ისე კლინკერისთვის) საშუალებების საკითხი;
- ინფორმაცია საწარმოში მოხმარებული საწვავის სახეობ(ებ)ის და მისი რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში ალტერნატიული საწვავის გამოყენების, მათ შორის ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ღუმელებზე ნარჩენების (ზეთები, საბურავები) მიწოდებისთვის გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში მოხმარებული ძირითადი და ალტერნატიული საწვავის რაოდენობრივი, მათ შორის პროცენტული, გადანაწილების შესახებ;
- ინფორმაცია ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების შესახებ, მათ შორის:
  - ალტერნატიულ საწვავად შემოტანილი ნარჩენების კოდები და დასახელება, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიცირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N 426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად;
  - ნარჩენების აღდგენის ან/და განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I ან/და II დანართების მიხედვით;
  - ნარჩენების შეგროვებისა და საწარმომდე მიწოდების შესახებ ინფორმაცია;
  - ინფორმაცია ნარჩენების, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, ტრანსპორტირების პირობების შესახებ, გამოყოფილი ავტოტრანსპორტის და ტრანსპორტირების სიხშირის მითითებით;
  - ნარჩენი ზეთების დროებითი განთავსების ობიექტი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის N145 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან („სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები“);
- ინფორმაცია თითოეული ნარჩენის დასაწყობების პირობების და აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ადგილ(ებ)ის შესახებ (გენ-გეგმაზე მითითებით);
- დაზუსტებული ინფორმაცია ნარჩენი ზეთების შესანახად განკუთვნილი რეზერვუარის შესახებ (ტიპი, მოცულობა). ასევე ინფორმაცია ნარჩენი ზეთების მიწოდების სატუმბო სადგურის და სასაწყობო რეზერვუარის შემოზინვის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოო ციკლში, ალტერნატიულ საწვავად, მოხმარებული ნარჩენების (ზეთები, საბურავები) რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოო პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;



- ინფორმაცია საწარმოში გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დასაწყობების ადგილის მითითებით;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანისა და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით), მარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა;
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში არსებული აირგამწმენდი სისტემისა და მისი ეფექტურობის შესახებ, პარამეტრებისა და საპასპორტო მონაცემების მითითებით;
- ინფორმაცია აირგამწმენდი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (აღნიშნული მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების დასადგენად);
- ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შესახებ, ჭაბურღილის გამოყენების შესაბამისი ლიცენზიის მითითებით;
- წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში გამოყენებული წყლის, მათ შორის ბრუნვითი წყალმოხმარების შესახებ;
- საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების არინებისთვის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია საბურავების საწყობის ტერიტორიაზე მოსაწყობი სანიაღვრე არხების და ნავთობდამჭერთან დაერთების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სალექარისა და ნავთობდამჭერის შესახებ, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;

- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ ინფორმაცია, ჩაშვების წერტილის მითითებით (GPS კოორდინატები). ამასთან ინფორმაცია ჩამდინარე წყლების შემადგენლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- დაზუსტებული ინფორმაცია წვის შედეგად ღუმელებში წარმოქმნილი ნაცრის კლასიფიკაციის შესახებ, რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები (მათ შორის ნარჩენი ზეთებისა და საბურავების ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებები), გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
  - წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების მეთოდები;
  - ინფორმაცია ძირითადი (ქვანახშირი) და ალტერნატიული საწვავის (ნარჩენების) წვის შედეგად წარმოქმნილი სუნის შესახებ, უსიამოვნო სუნის გავრცელების დეტალური შეფასება და მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი, პრევენციული ან/და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. ამასთან, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაცია გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული

კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის, ხელსაწყოთა და სტანდარტის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული: არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით); ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება; შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ვიზრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გაზრდილი წარმადობის ფონზე დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი - გარემოზე ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრით. ამასთან, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების განახლებული პროექტი, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;

- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც 500 მ-იან რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით წარმოდგენილ იქნეს საუკეთესო ალტერნატივები, დეტალური დასაბუთებით);
- **გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება** (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელებას;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

#### 6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნარჩენებისგან (ნარჩენი ზეთები და გამოყენებული საბურავები) ენერჯის აღდგენა. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს განხილული ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესები. რაც შეეხება, საბურავების (საჭირების შემთხვევაში ნარჩენი ზეთების) შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებას, ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლისა და „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს;
- ამასთან, ძალაშია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რომელიც ეხება სპეციფიკური ნარჩენების (მათ შორის ნარჩენი ზეთებისა და ნარჩენი საბურავების) მართვის საკითხებს. სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან (ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება) და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან

დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ორგანიზაციების მგვ რეესტრში რეგისტრაციის პირობები რეგულირდება ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საქმიანობის პროცესში;

- გზშ-ის ანგარიშში, ცალკე ქვეთავის სახით, აისახოს №32 (10.05.2017) და N79 (09.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილ იქნას ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში) და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/დონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობებში შეტანილი თითოეული ცვლილება შედარებული უნდა იყოს N32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ პირობებთან და გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად იქნეს განხილული, როგორც არსებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საკითხები (საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით), ისე დაგეგმილი ცვლილებები, ერთიანი პროექტის სახით;
- ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს 2017 წლის N32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის წარმადობის გაზრდას და ალტერნატიული საწვავის გამოყენებას, ასევე 2009 წლის N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის ტექნოლოგიური ხაზის სრულ დემონტაჟს, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია N32 და N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ და მითითებული უნდა იქნეს მოთხოვნა აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების (შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების) გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საბურავები ღუმელს მიეწოდება მთლიანი ან დანაწევრებული სახით. დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მათ შორის საბურავების დანაწევრების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია, დანაწევრებით მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს წარმადობის გაზრდის გეგმის შესახებ. მათ შორის, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების რეზერვების ხარჯზე - კლინკერის, ხოლო ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და დანამატების გამოყენების ხარჯზე - ცემენტის არსებული წარმადობების გაზრდის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კლინკერის წარმოების წარმადობის გაზრდა დაგეგმილია წელიწადში 1270000 ტ-მდე, ამასთან მითითებულია რომ დღე-ღამეში მაქსიმალური წარმადობა 4000 ტ-ს შეადგენს. საწარმოს სამუშაო დღეების (365) რაოდენობასთან მიმართებით კლინკერის საპროექტო წლიური წარმადობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს/დეტალურად იქნეს წარმოდგენილი საპროექტო წარმადობების, მათ

**შორის ცემენტის წარმადობის, შესახებ ინფორმაცია (წლიური, თვიური), სამუშაო დღეებისა და საათების დაზუსტების საფუძველზე.**

- დაზუსტებას საჭიროებს მწარმოებლურობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების შესახებ ინფორმაცია;
- ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მდ. ლეხურასა და საწარმოო ტერიტორიას შორის მანძილი 180 მეტრია, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის 4.3.3. ქვეთავში მითითებულია, რომ „სანიაღვრე წყლები, სალექარში მოხვედრამდე, გაივლიან გაწმენდას ნავთობდამჭერში (სეპარატორში). შესაბამისად ძირითადი ჩაშვება ხორციელდება ფილტრაციით სალექარის ფსკერიდან, ხოლო უშუალოდ ლეხურაში ჩაშვება მოხდება მხოლოდ სალექარის გადავსების შემთხვევაში“. დასაზუსტებელია, რამდენხანში ერთხელ ხდება წყლის ჩაშვება მდ. ლეხურაში და რამდენად სავარისია არსებული სალექარი წყლის მოსალოდნელი რაოდენობის გასაწმენდად;
- 7.4 ქვეთავში ცხრილის სახით წარმოდგენილია კასპის ცემენტის საწარმოს კლინკერის წარმოების ხაზის საწვავის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების შედარება (გვ. 34). ერთიდაიგივე ცხრილში, CO<sub>2</sub>-ის საერთო გაფრქვევის რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციას ვხვდებით. ასე მაგალითად: ერთ უჯრაში წერია, რომ საერთო CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევა (საწვავიდან) წელიწადში 300 ტ შეადგენს, იმავე ცხრილში ვკითხულობთ, რომ მისი რაოდენობა წელიწადში 341 727 შეადგენს. იგივე მეორდება მთლიან ცხრილში, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 7÷15-ზე) წარმოდგენილი ინფორმაციით ამორტიზირებული საბურავები და ზეთების ნარჩენები ძირითად საწვავს ნაწილობრივად ჩაანაცვლებს. კერძოდ 5-10%-ის რაოდენობით (გვ. 17). წვის ინტენსივობის დასაბუთება წარმოდგენილია CO<sub>2</sub>-ის რაოდენობრივი მონაცემებით (გვ. 7). - დასაბუთება წარმოდგენილია მოკლედ. მიზანშეწონილია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს პროექტის ტექნიკური და ტექნოლოგიური დასაბუთება, არა მხოლოდ საბოლოო შედეგებით და მონაცემებით;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 11-ზე) მოცემულია ნარჩენი საბურავების საწყობის ადგილისა და მოწყობის შესახებ მოკლე ინფორმაცია - მიზანშეწონილია სასაწყობე მოედნის საპროექტო მონაცემების (მათ შორის ზედაპირის საფარის) შესახებ გზშ-ის ანგარიშში აისახოს სათანადო ინფორმაცია (ისევე როგორც მოცემულია (გვ. 12÷15-ზე) გადატვირთვის ხაზის და ტექნოლოგიური სქემის მონაცემები);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოქმნილი ინფორმაცია ხმაურის შესახებ (გვ.51÷52-ზე) სავსაოდ მოკლე და ზოგადია - გზშ-ის ანგარიშში შესაბამისი გათვლების შესრულებისას გათვალისწინებული და მოცემული უნდა იყოს ხმაურის წარმომქმნელი მოწყობილობის ტექნოლოგიური საპასპორტო მონაცემები და ინფორმაცია ხმაურის წარმოქმნის მაქსიმალური დონეების შესახებ, რაც რეალურად წარმოაჩენს მოსალოდნელ ხმაურს სამუშაო ზონაში, სამრეწველო მოედანზე და სამრეწველო მოედნის გარეთ;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 21÷24-ზე) მოცემულია სანიაღვრე წყლების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია, სანიაღვრე წყლების მოსალოდნელი რაოდენობების გაანგარიშებისა და შესაბამისი დასაბუთების გარეშე - გზშ-ის

ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი გათვლები. მათ შორის, მოწყობილობის გამაგრებელი ტექნოლოგიური წყლების აღწერილობაში არ არის გათვალისწინებული მაქსიმალური მინერალიზებული გამაგრებელი წყლების გამოცვლის ფაქტორი, მოწყობილობის გამაცივებელი სისტემის პროფილაქტიკისთვის;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
  - სკოპინგის ანგარიშის მიხედვით კლინკერის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობისათვის გათვალისწინებულია ნედლეულის ფეკილის სილოსი (საერთო მოცულობით 7700 მ<sup>3</sup>). დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სილოსის ტერიტორიაზე არსებობის/მოწყობის შესახებ ინფორმაცია, საპროექტო პარამეტრების მითითებით;
  - დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული - ძველი ტექნოლოგიური (სველი კლინკერის წარმოების) ხაზების სრული გაუქმების/დემონტაჟის შესახებ;
  - სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 300 მ-ს (მშრალი ღუმელის მთავარი საკვამურიდან). ამასთან, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ერთ-ერთი წყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს უახლოეს მოსახლემდე, მათ შორის ტექნოლოგიური უბნებიდან/გაფრქვევის წყაროებიდან, მანძილი და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში შესრულდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე;
  - გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეული მტვრის მართვის საკითხების შესახებ;
  - გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.
- 
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. კასპში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს წარმადობის გაზრდა და ალტერნატიული საწვავის გამოყენება), **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის

მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.